**საქართველო**
**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**

ბრძანება:ბ46. 46242288

თარიღი:15/08/2024

**მუნიციპალიტეტის მერის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N283 ბრძანების მე-4 დანართის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

**ადრესატი:**

დავით შარაშიძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი:**05-462422829**
თარიღი: **15/08/2024**

---

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ დავით შარაშიძეს

ბატონო დავით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, მოწონებასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებით.

იხილეთ დანართი.

მაია გოგოლაძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოზადების თაობაზე**

**ოქმი N 2**

ქ. ჩოხატაური 14 აგვისტო 2024 წ.

მისამართი წერეთლის ქ. N2

2024 წლის 14 აგვისტოს ჩატარდა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2025 წლის ბიუჯეტის მომზადების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ა) სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მაია კუტუბიძე ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები: მაია გოგოლაძე - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ზაზა ოსეფაიშვილი - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი, ბექა სირაძე - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თეა უჯმაჯურიძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი, გია გიორგაძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, დავით თოდრია - არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ირაკლი ახობაძე - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ნიკოლოზ დუმბაძე - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი , თეა მამალაძე - განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი, ალეკო კვინტრაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, მაია პაიჭაძე მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

**სხდომას უძღვებოდა:**

მაია გოგოლაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

**განსახილველი საკითხი:**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2025-2028 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები).

**მოისმინეს:**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მაია გოგოლაძის მოხსენება - რომელმაც აღნიშნა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის №ბ46. 46240612 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 17 ივნისის №ბ46.46241692 ბრძანებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი.

სხდომის წევრის მაია გოგოლაძის მოხსენება - რომელმაც სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად 2025-2028 წ. საპროგნოზო მონაცემების შესახებ ინფორმაცია და წარმოადგინა მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2025-2028 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღინიშნა, რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2025-2028 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მოუწოდა ჯგუფის წევრებს შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციების და წინადადებების დაფიქსირება.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2025-2028 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: მოწონებული იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
- მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა(ა)იპ-ებმა და შპს-ებმა, საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით

განსაზღრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოზადების სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

დასაწყისი: 12 სთ. - დასასრული: 14 სთ.

მაია კუტუბიძე
სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე -
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე,

(შვებულება)

მინდია ქღერია
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

მაია გოგოლაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

და ა.შ. კომისსი წევრები

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
# პრიორიტეტების დოკუმენტი

## 2025-2028 წლები

## შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 825.1 კვ კმ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის მდგომარეობით 18.4 ათასი კაცია. მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 2 დაბა და 61 სოფელი. ოთხი დასახლებული პუნქტი სოფელი ზოტი, ქვაბღა, ჩხაკაურა და დაბა ბახმაროს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. აღნიშნულ დასახლებებში ჯამში ცხოვრობს 1865 კაცი.

მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური წყალი ნაბეღლავი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ნაბეღლავში ფუქციონირებს ნაბეღლავისა და სხვა გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი ქარხანა, რომლის მიერაც მოპოვებული მინერალური რესურსიდან გადახდილი მოსაკრებელი და ქონების გადასახადი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ბახმარო რომელიც ჰავაც საქვეყნოდ ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. კურორტ ბახმაროს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომლის სრულად ათვისების შემთხვევაში შესაძლებელია კურორტი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მთავარი შემოსავლის წყარო გახდეს.

ბოლო წლების მონაცემებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მთავარ წყაროს ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლიდან შემოსული თანხები, ქონების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი, საიდან მინიციპალიტეტებს მიეცემათ დღგ-ს განსაზღვრული წილი.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით მიღებული ტრანსფერები, რომლის შედეგადაც ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2024 წლის მონაცემების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | საკუთარი შემოსავლები (ათას ლარებში) | გადასახდელები (ათას ლარებში) |
| სულ საქართველო | 3 713 804,00 | 10 964 400,00 | 12 459 500,00 |
| გურიის რეგიონი | 113 100,00 | | |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 18 400,00 | 13 975,20 | 21 610,30 |
| პროცენტი საქართველოსთან | 0,50 | 0,13 | 1,70 |
| პროცენტი რეგიონთან | 16,3 | | |

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2023–2028 წლებში

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 ფაქტი | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი | 2028 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები სულ | 33529,5 | 34 759,8 | 18 664,0 | 19 685,6 | 20 478,3 | 21 886,7 |
| შემოსავლები | 29 640,5 | 29 080,5 | 17 764,0 | 18 785,6 | 19 848,3 | 20 986,7 |
| გადასახადები | 9 989,9 | 11 585,3 | 12 322,1 | 13 245,6 | 14 248,3 | 15 326,7 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 7 489,8 | 9 185,3 | 9 922,1 | 10 745,6 | 11 648,3 | 12 626,7 |
| ქონების გადასახადი | 2 500,1 | 2 400,0 | 2 400,0 | 2 500,0 | 2 600,0 | 2700,0 |
| გრანტები | 17 643,4 | 15 241,9 | 230,0 | 240,0 | 250,0 | 260,0 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 17 643,4 | 15 241,9 | 230,0 | 240,0 | 250,0 | 260,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 1 260,8 | 1 236,1 | 230,0 | 240,0 | 250,0 | 260,0 |
| მიმდინარე დანიშნულების გრანტები | 39,8 | 1 311,8 | | | | |
| კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები | 1 6342,8 | 12 694,0 | | | | |
| სხვა შემოსავლები | 2 007,2 | 2 253,3 | 5 211,9 | 5 300,0 | 5 350,0 | 5400,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 626,5 | 2 675,6 | 400,0 | 400,0 | 400,0 | 400,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) | 3 262,5 | 3 003,7 | 500,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება) | | | | | | |

**გადასახდელები**

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2025-2028 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2028 წლების ბალანსი

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **29 640,5** | **29 080,5** | **17 764,0** | **18 785,6** | **19 848,3** | **20 931 ,2** |
| გადასახადები | 9 989,9 | 11 585,3 | 12 322,1 | 13 245,6 | 14 248,3 | 12626,7 |
| გრანტები | 17 643,4 | 15 241,9 | 230,0 | 240,0 | 250,0 | 260,0 |
| სხვა შემოსავლები | 2 007,2 | 2 253,3 | 5 211,9 | 5 300,0 | 5 350,0 | 5400,0 |
| **ხარჯები** | **16 513,0** | **17 517,7** | **17 361,2** | **18 054,7** | **18 615,3** | **19 505,7** |
| შრომის ანაზღაურება | 7 796,3 | 9 464,7 | 10 758,7 | 10 758,7 | 10 758,7 | 10 758,7 |
| საქონელი და მომსახურება | 5 406,0 | 6 127,8 | 4 559,5 | 5 045,0 | 6 5 400,0 | 5 800,0 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 30,3 | 35,0 | 35,0 | 35,0 | 35,0 | 35,0 |
| სუბსიდიები | 550,6 | 430,0 | 445,0 | 600,0 | 651,6 | 651,6 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 884,8 | 916,0 | 986,5 | 916,0 | 1 020,0 | 1 200,0 |
| სხვა ხარჯები | 1 845,0 | 544,2 | 576,5 | 700,0 | 750,0 | 1060,4 |
| **საოპერაციო სალდო** | **12 927,4** | **11 562,8** | **402,8** | **730,9** | **1 233,0** | **1 1 481,0** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **13 103,2** | **14 483,5** | **819,8** | **1147,9** | **1 650,0** | **1 1 898,0** |
| ზრდა | 13 729,8 | 17 159,1 | 1 219,8 | 1547,9 | 2050,0 | 2 298,0 |
| კლება | 626,6 | 2 675,6 | 400,0 | 400,0 | 400,0 | 400,0 |
| **მთლიანი სალდო** | **175,8** | **-2 920,7** | **-417,0** | **-417,0** | **-417,0** | **73 ,0** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **92,9** | **-3003,7** | **-500 ,0** | **- 1500,0** | **-500,0** | **-500,0** |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 3 355,4 | 3 003,7 | 500,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3 262,5 | 3 003,7 | 500,0 | 500,0 | -500,0 | -500,0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-82 ,9** | **-83,0** | **-83 ,0** | **- 83 ,0** | **-83 ,0** | **-83 ,0** |
| კლება | 82,9 | 83,0 | 83,0 | 83,0 | 83,0 | 83,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 82,9 | 83,0 | 83,0 | 83,0 | 83,0 | 83,0 |
| **ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

## 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 33 320.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 33 529.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.6 %.

### I. შემოსავლები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9 989.8 ათასი ლარი, გეგმის 9 801.2 ათასი ლარის 101.9 %-ს შეადგენს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 500.0 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 2 300.0 ათასი ლარის 108.7 %- შეადგენს. ხოლო

დამატებითი ღირებულების გადასახადი 7489.8 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 7501.2 ათასი ლარის 99.8 %-ს შედგენს.

### II. გრანტები

**საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია** 17 643.4 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 16 794.9 ათასი ლარი(105.1 %) მათ შორის: **გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 17 623.6** ათასი ლარი; **მათ შორის:**

**მიმდინარე 3580.8** ათასი ლარი; მათ შორის: სპეციალური 2300.0 ათასი ლარი, მიზნობრივი 1280.8 ათასი ლარი; **კაპიტალური 14042.8** ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 4850.6 ათასი ლარი, კაპიტალური 8854.3 ათასი ლარი და 337.9 ათასი ლარი სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო

**საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 19.8** ათასი ლარი

### III. სხვა შემოსავლები

დაგეგმილი იყო 2 861.5 ათასი ლარი, შემოსულია 2007.1 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 70.1 %-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან: 1697.4 ათასი ლარი; მ / შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 40.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 30.0 ათასი ლარი,( 134.0 %.)

დივიდენდები-0 ათასი ლარი

რენტის სახით მობილიზებულია 1 657.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1583,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 73,7 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 65,0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 58,8 ათასი ლარი.(90,4 %) მ/ შორის:
ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 56,7 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 35,4 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 21,3 ათასი ლარი.
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 2,1 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 214,8 ათასი ლარი შეადგინა.

ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 36,1 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 35,1 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 1,0 ათასი ლარი.

IV. არაფინანსური აქტივებიდან

მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 626,6 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 253,8 ათასი ლარი მიღებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 372,8 ათასი ლარი.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება**

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33 320,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30 525,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.6 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8109,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7 996,3 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,6 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 972,1 ათასი ლარი

ხელფასები 972,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 972,1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 972,1 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 2242,7 ათასი ლარი

ხელფასები 2242,7 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 2242,7 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 2242,7 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 165,1 ათასი ლარი

ხელფასები 165,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 165,1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 165,1 ათასი ლარი

4. კურორტი ბახმარო: შრომის ანაზღაურება 11,1 ათასი ლარი

5. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 52.0 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 589.9 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა:

შრომის ანაზღაურება 53,9 ათასი ლარი

7. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 1661,2 ათასი ლარი

8. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 2130,7 ათასი ლარი

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 117,6 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 5664,0 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5406,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.4 %-ს შეადგენს.

,,**პროცენტების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 35.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 30.3 ათასი ლარი შეადგინა.(86.6 %)

„**სუბსიდიების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 556,8 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 550,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,9 %-ს შეადგენს.

„**სუბსიდიების**" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის -230,0 ათასი ლარი;

- განათლების ხელშეწყობა - 40,0 ათასი ლარი;

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3,4 ათასი ლარი;

- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 4,5 ათასი ლარი;
- რელიგია--10,0

- სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 262,7ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 888,6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 884,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,6 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ლტოლვილთა დახმარება - 7,4 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 22,0 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 516,7 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 289,8 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 37,1 ათასი ლარი, ხოლო

ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 11.8 ათასი ლარი

**„სხვა ხარჯების”** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1854,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1845,0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 99,5 %ია.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---123.8 ათასი ლარი

მერია --6.6 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--1,0 ათასი ლარი

- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 1272.8 ათასი ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 154.5 ათასი ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 203,9 ათასი ლარი;

ლტოლვილთა დახმარება --0.1 ათასი ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება--1,4 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 7,2 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება 73,7 ათასი ლარი

**ვალდებულებების კლების** მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 82,9 ათასი ლარია ანუ 99,9 %.

2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით



ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:




**სარეზერვო ფონდი**

2023 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 91,3 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 90,9 ათასი ლარი(99.6 %) აქედან 8,0 ათასი ლარი მიიმართა საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობაზე; 2.0 ათასი ლარი მიიმართა კულტურის ცენტრის ხარჯებზე. 78,4 ლარით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით ოჯახების დახმარებაზე. 2,5 ათასი მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებზე.

**2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მაჩვენებლები**

**შემოსულობები**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **21 969.9** ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა **14 572.4** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **66.3** %.

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **21 913.3** ათასი ლარი ფაქტიურად 14 000.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 63.9 პროცენტი შეადგინა.

II გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **6 590.6** ათასი ლარი, გეგმის **6 105.7** ათასი ლარის **107.9 % -ია.** აღნიშნულ შემოსავლებში **2 189.4** ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო **4 401.2** ათასი ლარი გადასახადი საქონელისა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

III გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **6 636.8** ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო **13 647.2** ათასი ლარი ( 48.6 %). მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი 1 082.8 ათასი ლარი; მიმდინარე ტრანსფერი – 1 033.1 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი – 4 520.9 ათასი ლარი.

IV სხვა შემოსავლები

**სხვა შემოსავლების** სახით ექვს თვეში სულ შემოსულია **773.5** ათასი ლარი, გეგმის **2 160.4** ათასი ლარის 35.8 %.
**შემოსავლები საკუთრებიდან** სულ შემოსულია 560.8 ათასი ლარი;
**მ.შ : პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9.6 ათასი ლარი,
**რენტის** სახით მობილიზებულია 551.2 ათასი ლარი,

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** შემოსულია 93.7 ათასი ლარი,

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 80.5 ათასი ლარი შეადგინა,

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული საანგარიშო პერიოდში მიღებულია 38.5 ათასი ლარი.

გადასახდელები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელების გეგმა შეადგენს 24 963,5 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2024 წლის6 თვის მდგომარეობით შეადგინა 15 554,8 ათასი ლარი, გეგმასთან შეფარდებთ შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 62,3 %.

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 2943,0 ათასი ლარი ;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 6354,1 ათასი ლარი;

– დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 947,7 ათასი ლარი;

– საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 189,5 ათასი ლარი;

– სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 207,7 ათასი ლარი;

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 912,8 ათასი ლარი,;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დაფინანსება პროცენტულად




ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაფინანსება ფუნქციონალურ ჭრილში




**სარეზერვო ფონდი**

2024 წლის პირველ ექვს თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 95.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 94.7 ათას ლარს.(98.7 %)

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

**თვითმმართველი ერთეული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა**

2025-2028 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ჩოხატაურის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა

მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსაჴლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა

კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია;**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;**

## ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა (საკუთარი შემოსულობების

ფარგლებში)

| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ათასი ლარი | |
| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2025 | 2026 | 2027 | 2028 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 185 | 5 979,0 | 6 050,0 | 6 215,2 | 6 350,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | | 1 465,0 | 1 550,0 | 1 621,3 | 1 876,8 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 111 | 2 260,0 | 2 350,0 | 2 420,0 | 2 681,1 |
| 04 00 | განათლება | 273 | 2 950,0 | 3 200,0 | 3 300,0 | 3 600,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია | 373 | 4 158,0 | 4 585,6 | 4 750,0 | 4 900,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 14 | 1 852,0 | 1 950,0 | 2 171,8 | 2 478,8 |
| **სულ ჯამი** | | **956** | **18 664,0** | **19 685,6** | **20 478,3** | **21 886,7** |

## პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

ათასი ლარი

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2025 | 2026 | 2027 | 2028 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 185 | 5 979,0 | 6 050,0 | 6 215,2 | 6 350,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | | 1 465,0 | 1 550,0 | 1 621,3 | 1 876,8 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 111 | 2 260,0 | 2 350,0 | 2 420,0 | 2 681,1 |
| 04 00 | განათლება | 273 | 2 950,0 | 3 200,0 | 3 300,0 | 3 600,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია | 373 | 4 158,0 | 4 585,6 | 4 750,0 | 4 900,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 14 | 1 852,0 | 1 950,0 | 2 171,8 | 2 478,8 |
| **სულ ჯამი** | | **956** | **18 664,0** | **19 685,6** | **20 478,3** | **21 886,7** |

## პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება

| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ათასი ლარი | |
| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2025 | 2026 | 2027 | 2028 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 5 979,0 | 6 050,0 | 6 215,2 | 6 350,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 1 465,0 | 1 550,0 | 1 621,3 | 1 876,8 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2 260,0 | 2 350,0 | 2 420,0 | 2 681,1 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 04 00 | განათლება | 2 950,0 | 3 200,0 | 3 300,0 | 3 600,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია | 4 158,0 | 3 585,6 | 4 750,0 | 4 900,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 852,0 | 1 950,0 | 2 171,8 | 2 478,8 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| **სულ ჯამი** | | **18 664,0** | **19 685,6** | **20 478,3** | **21 886,7** |
| **მ.შ. ახალი ინიციატივები** | | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პროგრამები და ქვეპროგრამები:

ინფრასტრუქტურის განვთარება 02 00

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის პროექტი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **14 926,8** | **15 920,7** | **1 465,0** | **1 550,0** | **1 621,3** | **1 876,8** |
| 02 02 | **გარე განათება და ელმომარაგება** | **577,4** | **1843,3** | **765,0** | **885,0** | **990,0** | **1 195,0** |
| 02 02 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 121,8 | 130,0 | 130,0 | 140,0 | 150,0 | 160,0 |
| 02 02 02 | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა | 6,7 | 35,0 | 35,0 | 35,0 | 20,0 | 25,0 |
| 02 02 03 | გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი | 448,9 | 500,0 | 500,0 | 550,0 | 600,0 | 660,0 |
| 02 02 04 | ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის | 238,6 | 1178,3 | 100,0 | 150 | 220,0 | 350,0 |
| 02 04 | **საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება** | | 200,0 | **200,0** | **210,0** | **225,0** | **230,0** |
| 02 04 01 | სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია | | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 02 04 02 | საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია | | 100,0 | 100,0 | 110,0 | 125,0 | 130,0 |
| 02 05 | **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება** | **160,1** | **300,0** | **300,0** | **300,0** | **350,0** | **350,0** |
| 02 08 | **ზედამხედველობა და ექსპერტიზა** | | | **200,0** | **200,0** | **200,0** | **200,0** |

*გარე განათება და ელმომარაგება 02 02*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2024 წელი(საბაზისო მაჩვენებელი) | 2025 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2026 წელი | 2027 წელი | 2028 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | მონაცემთა წყარო | მონაცემთა მოგროვების მეთოდი | რისკი |
| ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათებისქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება | მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების %, სადაც ხელმისაწვდომია გარე განათების სერვისი | 64 | 67 | 72 | 75 | 78 | პროცენტული მაჩვენებელი | | ჩოხატაურის სერვის ჯგუფი | მიღება-ჩაბარების აქტები | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | თანამედროვე LED სანათების % გარე სანათების საერთო რაოდენობასთან მიმართებით | 5% | 7% | 8% | 12% | 15% | პროცენტული მაჩვენებელი | | ინფრასტრუქტურის სამსახური; | მიღება-ჩაბარების აქტები | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 02 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინ დიკა ტორის და სახე ლე ბა | 2024 წე ლი (საბა ზისო მა ჩ ვე ნ ე ბე ლი) | 20245 წე ლი (მიზნ ობრივი მაჩ ვე ნე ბე ლი) | ზომის ე რთე ული | ცდომილე ბის ალბათობა (%) | მონა ცე მთა წყ არო | მონაცე მ თა მოგროვე ბის მე თოდი | რის კი |
| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა | გარე განათების ქსელის წერტილების რაოდენობა | 7 500 | 7800 | ცალი | 10% | ა.(ა)ი.პ. ჩოხატაურის სერვის ჯგუფი | მიღება-ჩაბარების აქტები | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | გარე განათების ქსელის გრძ/მ | 263500 | 264700 | გრძ/მ | 10% | ა.(ა)ი.პ. ჩოხატაურის სერვის ჯგუფი | მიღება-ჩაბარების აქტები | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 02 02 02
ქვეპროგრამის აღწერა:

2025 წელს განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).

ქვეპროგრამის მიზანი:

გარე განათების ახალი სანათების მოწყობა და გარე განათებით ახალი გზების მონაკვეთების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია გარე განათების ახალი წერტილები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახე ლე ბა | 2 024 წე ლი (საბაზისო მაჩ ვე ნე ბე ლი) | 2025 წე ლი (მიზნ ობრივი მაჩ ვე ნე ბე ლი) | ზომის ე რთე ული | ც დომილე ბის ა ლბათობა (%) | მონ აცე მთა წყარო | მონაც ე მთა მოგროვე ბის მე თოდი | რისკი |
| მოწყობილია გარე განათების ახალი წერტილები | ახალი წერტილების რაოდენობა | 25 | 31 | ცალი | 10% | ა.(ა)ი.პ. ჩოხატაურის სერვის ჯგუფი | მიღება-ჩაბარების აქტები | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

გარე განათების და ელექტროენერგიის ხარჯი 02 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
